მოკლე ბიოგრაფია
ხათუნა ბურკაძემ ტაფტის უნივერსიტეტის ფლეტჩერის სამართლისა და დიპლომატიის სკოლა დაამთავრა. ფულბრაიტის პროგრამის ფარგლებში ის მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის ინსტიტუტის საერთაშორისო კვლევით ცენტრში ხელმძღვანელობდა კვლევას კიბერშეტევებისა და კიბერომის საერთაშორისო სამართლებრივ განსაზღვრებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, იგი იყო კოლუმბიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის, ბარდ კოლეჯისა და ფლეტჩერის სკოლის მიწვეული პროფესორი. პროფესორმა ბურკაძემ წარმატებით დაასრულა ჰარვარდის უნივერსიტეტის მოლაპარაკებებისა და ჯორჯ მარშალის ევროპული უსაფრთხოების საკითხთა კვლევითი ცენტრის უსაფრთხოების გაღრმავებული სწავლების ლიდერთა პროგრამები. ასევე, ის არის ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პროგრამის კურსდამთავრებული ამერიკის საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. ხათუნა ბურკაძის სამეცნიერო ნაშრომები “ფლეტჩერ ფორუმშიცაა“ გამოქვეყნებული და ციტირებულია “ჰარვარდის ეროვნული უსაფრთხოების” ჟურნალში. მისი განმარტებები დიპლომატიის ორი ახალი სახის: ციფრული და კიბერ დიპლომატიის შესახებ „ფლეტჩერ ფორუმმა“ 21-ე საუკუნის დიპლომატიის რუბრიკაში შეიტანა. ხათუნა ბურკაძე 2017-2018 წლებში იყო სამართლისა და საერთაშორისო განვითარების საზოგადოების წევრი ჰარვარდის სამართლის სკოლაში. ასევე, იგი გახლდათ 2018 წლის ევროპული კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფის წევრი ჰარვარდში. პროფესორ ხათუნა ბურკაძეს აქვს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებაში მუშაობის გამოცდილება. კერძოდ, ხათუნა ბურკაძე მუშაობდა საქართველოს პარლამენტში, მთავრობის ადმინისტრაციაში, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და უზენაეს სასამართლოში. ასევე, პროფესორმა ბურკაძემ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით განახორციელა პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ საქართველოს მოქალაქეებს შორის ევროკავშირისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შესახებ ცნობადობის ამაღლებას. ხათუნა ბურკაძეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ და შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ჯილდო გადასცა. ასევე, ის 2024 წლის მეცნიერი გახდა ინოვაციებისა და ციფრული ტრანსფორმაციის დარგში. ხათუნა ბურკაძე პირველი ქართველი ქალი მეცნიერია, რომელმაც, "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ფარგლებში, სტიპენდია მოიპოვა ხელოვნური ინტელექტის თემატიკაზე სამეცნიერო კვლევის განსახორციელებლად.

პროფესორი ხათუნა ბურკაძე კითხულობს შემდეგ სალექციო კურსებს: საერთაშორისო საჯარო სამართალი; ამერიკის საგარეო პოლიტიკა; უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები; ძალის გამოყენების სამართლებრივი ასპექტები საერთაშორისო სამართალში; ევროკავშირის სამართალი; ციფრული დიპლომატია; კიბერსამართალი; ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი სახელმწიფო მართვაში.
გამოქვეყნებული პუბლიკაციები
1.ხათუნა ბურკაძე, მაია მელიქიძე, „ხელოვნური ინტელექტის როლი ენერგეტიკის სექტორში“ (სანდო ხელოვნური ინტელექტის კონცეფციის განვითარება ენერგეტიკაში), „ფლეტჩერ ფორუმი“, 49-ე გამოცემა, N1 (აშშ), 2025. 2.მსოფლიო ბანკის ანგარიშში - საქართველოს უმაღლეს განათლებაში არსებული გამოწვევების დაძლევის გზების ძიება - ხათუნა ბურკაძის კვლევის მიგნებები აისახა, მსოფლიო ბანკი, 2024. 3.ხათუნა ბურკაძე, „ხელოვნური ინტელექტის სამართლის სუბიექტად მიჩნევის სტატუსისკენ”, ჟურნალი "იუსტიცია", N:2 (5), 2023. 4.ხათუნა ბურკაძე, „ხელოვნური ინტელექტის საქართველოს ეროვნული სტრატეგიის სახელმძღვანელო პრინციპები“ , თანაავტორი, ბტუ, 2023. 5.ხათუნა ბურკაძე, “ციფრული დიპლომატიის სამართლებრივი ასპექტები“, საერთაშორისო ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, 9(25), 2023. 6. ხათუნა ბურკაძე, „თავდაცვის უფლების საერთაშორისო სამართლებრივი საფუძველი კიბერ ეპოქაში“, საერთაშორისო ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, 8 (22), 2022. 7. ხათუნა ბურკაძე, „ციფრული ტრანსფორმაციის ტენდენციები გაერო-ს, ევროკავშირისა და ნატო-ს გამოცდილებაზე დაყრდნობით“, „ფლეტჩერ ფორუმი“, 47-ე გამოცემა, N1 (აშშ) (სტატია შეტანილია გაერო-ს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბაზაში), 2022. 8. ხათუნა ბურკაძე, „იურიდიული განათლების ტრანსფორმაცია კორონავირუსის პერიოდში“, საერთაშორისო ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, 8 (1), 2022. 9. ხათუნა ბურკაძე, „კიბერშეტევის საერთაშორისო სამართლებრივი განსაზღვრება“, ჟურნალი „იუსტიცია“, N2 , 2022. 10. ხათუნა ბურკაძე, „ციფრული საგარეო პოლიტიკისკენ“, „ფლეტჩერ ფორუმი“, 45-ე გამოცემა, N2 (აშშ) (სტატია შეტანილია 21ე საუკუნის დიპლომატიის რუბრიკაში), 2021. 11. ხათუნა ბურკაძე, “ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი ასპექტები ევროკავშირის გამოცდილების საფუძველზე“, საერთაშორისო ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, 7(20), 2021. 12. ხათუნა ბურკაძე, „ცვლილება შეიარაღებული თავდასხმის ისტორიულ კონცეფციაში და მისი გამოყენება კიბერსივრცეში“, „ფლეტჩერ ფორუმის“ ჟურნალი, აშშ, 44-ე გამოცემა, N1, 2020. 13. ხათუნა ბურკაძე, „ნატო-ს მე-5 მუხლის ხელახალი ინტერპრეტაციის საჭიროება კიბერ ეპოქაში?“ „ფლეტჩერ ფორუმის“ ჟურნალი, აშშ, 42-ე გამოცემა, N2, 2018, (სტატია ციტირებულია “Harvard National Security Journal”-ში). 14. ხათუნა ბურკაძე, კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული კვლევის გარკვეული მიგნებების გამოქვეყნება MIT-ში, 2018.

15. ხათუნა ბურკაძე, „ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის სტრატეგიული ურთიერთობების სამართლებრივი ჩარჩო“ , ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საერთაშორისო ჟურნალი, 4 (2), 2015.
16. ხათუნა ბურკაძე, „ჰუმანიტარული ინტერვენცია და საერთაშორისო სამართალი“, სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო ჟურნალი, 4 (2) , 2015.
17.ხათუნა ბურკაძე, „კიბერუსაფრთხოება და საერთაშორისო სამართალი“, კომპიუტერული ტექნოლოგიების საერთაშორისო ჟურნალი, 4 (2), 2015.
18. ხათუნა ბურკაძე, “თავდაცვის უფლება საერთაშორისო სამართალში”, სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო ჟურნალი, N1, 2015.
19. ხათუნა ბურკაძე, *ძალის გამოყენების სამართლებრივი ასპექტები საერთაშორისო სამართალში*, თსუ, 2012.
20. ხათუნა ბურკაძე, „გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება“, საერთაშორისო ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2008.